

9 (008)

ქ-44 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მაია ძვრივიშვილი

ქართული კულტურა 1921-1941 წლებში: პირითადი მიმართულებების
ფორმირება

სპეციალობა 24.00.02 – ისტორიული კულტუროლოგია

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ზ ტ ო რ ე ვ ე რ ა ტ ი

თბილისი
2005

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გურამ ლორთქიფანიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები: 1. ვახტანგ გურული
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
2. ოთარ ჯანელიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2005 წლის 26 სექტემბერს
საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს H 07.01. C № 1 სხდომაზე.

მისამართი: 0128, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ., 1, თსუ I კორპუსი, აუღ. 93

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში

- 2006 -

ავტორეფერატი დაიგზავნა 27 ივნისს

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი
ნათელა კახიანიძე ნ.ვანნაძე

სადისერტაციო ნაშრომის საერთო დახასიათება

საკვლევი თემის აქტუალობა. თანამედროვე ქართულ საზოგადოებას წილად ხელა რთული საბჭოთა მემკვიდრეობა, რომელმაც თავისი დიდი ცხოვრების ყველა სფეროს, მათ შორის კულტურასაც ძალუმაღ დაამწნია. ათასწლეულთა მიჯნაზე სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ყოფაში მიმდინარე ეპოქალური გარდაქმნები, საბჭოთა ღირებულებათა გადაფასებისა და ახლის შექმნის პროცესი რელიეფურად აისახება კულტურაშიც.

მზარდი საერთაშორისო ინტეგრაციისა და გლობალიზაციის პირობებში ჩვენი საისტორიო მეცნიერების, ზოგადად ქართული კულტურის წინაშე დგება გადაუდებელი ამოცანა: უნდა გააზრებულ იქნას ცივილიზებული მსოფლიოსაგან იზოლირებულად, დასშულ კომუნისტურ სივრცეში, შიშისა და ტერორის ქვეშ სამოცდაათწლიანი ცხოვრების როლაც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები. განსაკუთრებით კულტურის სფეროში, რა თა სწორად გამოიკვეთოს ეროვნული კულტურის აღორძინების, მისი შექდგომი განვითარების მაგისტრალური გეზი. შეცდომების თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია გასული საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიული გამოცდილების მეცნიერული ანალიზი, ქართული კულტურის შექმნილების მიუკერძოებელი, ობიექტური გაშუქება. სხენებული ეპოქის კულტურული მონაპოვარი თავის მიღწევებითა და ხარვეზებით ჩვენი ქვეყნის ისტორიის განუყოფელი ნაწილია. მისი ახლებურად გააზრება დღეს აქტუალურია არა მხოლოდ შემეცნებითი თვალსაზრისით, არამედ საკითხის პრაქტიკულ-გამოყენებითი ღირებულების გამოც.

ნაშრომის მიზანი იყო XX საუკუნის 20-30-იან წლებში ქართულ კულტურაში მიმდინარე მენტალური ცვლილებების, ღირებულებათა გადაფასების, ახალ კულტურულ მიმართულებათა ჩამოყალიბების პროცესის წარმონჩენა და მისი კულტურულ-ისტორიული შეფასება ეპოქის ფონზე, დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით.

კვლევის საგანი. ნაშრომი ეძღვნება 1921-1941 წლებში ქართული კულტურის ფორმირების, ქართულ კულტურაში განსორციელებული შინაარსობრივი, სტრუქტურული და თვისობრივი ცვლილებების შესწავლა-გააზრებას. ამისთვის, საკვლევი თემის და პერიოდის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, საჭირო გახდა გვესარგებლა საკავშირო თუ საქართოველოს კომპარტიის ყრილობების, კონფერენციების, პლენუმების რეზოლუციებით, საბჭოთა ხელმძღვანელი ორგანოების ცირკულარებითა და ბრძანებებით, ასევე ქვეყნის პოლიტიკურ ლიდერთა სიტყვებით და გამოსვლებით, პერიოდული გამოცემებით, სადაც კარგად შეიხ ნევა 20-იანი წლების შედარებითი პლურალიზმი და 30-იანი წლების პოლიტიკური რეპრესიების სუხსი.

მეცნიერული სიახლე. ნაშრომი პირველი ცდაა 1921-1941 წლების ქართული საბჭოთა კულტურის, მისი ძირითადი მიმართულებების ფორმირება-განვითარების პრობლემათა გააზრებისა კულტურულ-ისტორიულ კრილში, მარქსისტულისაგან განსხვავებულ მეთოდოლოგიურ საფუძველზე.

გამოკვლევაში ნაჩვენებია, თუ როგორ იყო საბჭოთა ხელისუფლების ძალისხმევა მიმართული სოციალიზმისა და კომუნისმის მშენებელი ადამიანის აღზრდისაკენ. ამ პერიოდში ექცევა ე.წ. კულტურული რეკოლუცია, რომელსაც ამ მიზნისაკენ მიმავალი გზა უნდა შეემოკლებინა. ქართულ კულტურაში მეტად საინტერესო და წინააღმდეგობრივი პროცესები მიმდინარეობდა: ერთი მხრივ, ტოტალიტარული სახელმწიფოს მცდელობა, მთლიანად თავისი კონტროლის ქვეშ მოექცია კულტურული პროცესები, მეორეს მხრივ, თავისი იწენდა ქართული